EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

ჩვიკი პოლონეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 31454/10)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი
მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს
თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

5 ნოემბერი, 2020 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ჩვიქი პოლონეთის წინააღმდეგ

განაცხადი N 31454/10, 5 ნოემბერი, 2020 წელი

მე-6 მუხლი

სისხლის სამართლის საქმე

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

კერძო პირების მიერ, სახელმწიფო მოხელეების ჩარევის ან თანხმობის გარეშე, მესამე მხარის მიმართ არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა: დადგინდა დარღვევა

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე, სასამართლომ დასაშვებად ცნო მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იქნა კერძო პირების მიერ მესამე მხარის (კ.გ) მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შედეგად.

სამართლებრივი შეფასება

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ევროპულმა სასამართლომ რიგ საქმეებში უკვე დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, წამებისა ან სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული ჩვენებების სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად ცნობა მთელ სამართალწარმოებას არასამართლიანს ხდის. მის მიერ განხილულ ყველა ამ შემთხვევას აერთიანებდა ის, რომ სახელმწიფო მოხელეები ერეოდნენ ბრალდებულისგან ან მესამე მხარისგან სადავო ჩვენებების მოპოვებაში.

სასამართლოს წინაშე დასმული კითხვა, რომელიც აქამდე არ წარმოშობილა, წარმოადგენდა შემდეგს: იყო თუ არა ზემოაღნიშნული წესი გამოსადეგი მოცემულ საქმეზე, სადაც ინფორმაცია მოპოვებული იქნა მესამე მხარისგან კერძო პირების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შედეგად, მაშინაც კი, როდესაც არ ყოფილა არანაირი მტკიცებულება სახელმწიფო მოხელეების ჩართულობის ან თანხმობის შესახებ.

> „59. ევროპული სასამართლოს თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი სადავო საკითხს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად აყენებს, პრინციპები, რომლებიც გადმოცემულია კონვენციის მე-3 მუხლით, უმნიშვნელოვანესია განმცხადებლის საჩივრის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განხილვისათვის.“

(ა) შეიძლება თუ არა კ.გ-სგან მისი ნების საწინააღმდეგოდ მიღებული ინფორმაცია მივიჩნიოთ კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის განხორციელების შედეგად

„60. სასამართლო იმეორებს, რომ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ფუნდამენტური ღირებულებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ., სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, *გეფგენი,* ზემომოყვანილი, § 87, და *ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის წინააღმდეგ,* [GC], N 39630/09 , § 195, ECHR 2012). იგი ასევე წარმოადგენს ცივილიზაციის ღირებულებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან, რაც კონვენციის არსის ნაწილია. (იხ. *ბოიდი* ბელგიის წინააღმდეგ [GC], No. 23380/09, §§ 81 და 89-90, ECHR 2015). განსახილველი აკრძალვა აბსოლუტურია, რადგან მისგან არანაირი გადახვევა არ არის დასაშვები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზეა საგანგებო მდგომარეობა და საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს ან ყველაზე რთულ ვითარებაში, როგორიცაა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, მიუხედავად დანაშაულთან კავშირში მყოფი პირის ქმედებისა. (იხ. *ხლაიფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ* [GC], N 16483/12, § 158, 2016 წლის 15 დეკემბერი და მასში მოყვანილი საქმეები).

61. იმაზე მსჯელობისას, ექვემდებარებოდა თუ არა პირი ისეთ მოპყრობას, რომელიც არის „არაადამიანური ან ღირსების შემლახავი“ კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით, სასამართლომ ხაზი გაუსვა ზოგად მიდგომას, რომლის მიხედვითაც მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს იმისათვის, რომ მოექცეს ამ დებულების ფარგლებში. ...

62. პირის მიმართ არასათანადო მოპყრობა, რომელიც აღწევს სიმძიმის ასეთ მინიმალურ დონეს, ჩვეულებრივ, გულისხმობს ფაქტობრივ ფიზიკურ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან მორალურ ტანჯვას. თუმცა, ამ მახასიათებლების არარსებობის შემთხვევაშიც კი, როდესაც ინდივიდისადმი მოპყრობა ამცირებს ან აკნინებს მას, გამოხატავს მისი ღირსების მიმართ უპატივცემულობას ან დამცირებას, იწვევს შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების გრძნობას, რასაც შეუძლია დაარღვიოს ინდივიდის მორალური და ფიზიკური მდგრადობა, აღნიშნული შეიძლება შეფასდეს, როგორც დამამცირებელი ქმედება და მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ აკრძალვაში. ამისათვის შესაძლოა საკმარისი იყოს, თუ იგი დამცირდება საკუთარ თვალში, და არა - სხვათა აღქმით (იხ. *Bouyid*, ზემოთ მოყვანილი, § 87, შემდგომი მითითებით).

66. ... კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის აკრძალვა იცავს ყველა ადამიანს განურჩევლად იმისა, ამ არასათანადო მოპყრობას ახორციელებს საჯარო მოხელე თუ კერძო პირი, იმ პირობით, რომ არასათანადო მოპყრობამ მიაღწია ამ დებულებით საჭირო სიმძიმის მინიმალურ დონეს (ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ პრეცედენტული სამართალი ზემოთ ციტირებულ 61-ე და 62-ე პუნქტებში). ცოტა ხნის წინ სასამართლომ დაადასტურა სიმძიმის ტესტის ზღვრის გამოყენება კერძო პირების მხრიდან არასათანადო მოპყრობის მიმართ (იხ. ზემოთ ციტირებული, § 121).

67. ეს ასევე დასტურდება ევროპული სასამართლოს მიდგომით გაძევების საქმეებთან დაკავშრებით, სადაც გარანტირებული უფლების აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ აღიარა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან მომდინარე საფრთხეზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი მომდინარეობს პირისგან ან ჯგუფებისგან, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები (არასახელმწიფო აქტორები) (იხ. *ჰ.ლ.რ საფრანგეთის წინააღმდეგ,* 29 აპრილი 1997, §§ 39-40, მოხსენებები 1997 - III, ნარკორეალიზატორების რისკის შესახებ; *ნა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,* N 25904/07, § 110 და 141, 2008 წლის 17 ივლისი, რომელიც ეხება ტამილ ვეფხვთა დაჯგუფებისგან მომდინარე რისკს; *ფ.ჰ შვედეთის წინააღმდეგ*, N 32621/06, §§ 102-03, 2009 წლის 20 იანვარი, რომელიც ეხება შიიტური სამხედრო ჯგუფებისგან მომდინარე რისკს; *რ.დ საფრანგეთის წინააღმდეგ*, N 34648/14, §§ 43 და 45, 2016 წლის 16 ივნისი, § 80 და 121, 2016 წლის 23 აგვისტო, ეხება ოჯახიდან მომდინარე რისკს, და *ჯ.კ შვედეთის წინააღმდეგ* [GC], N 59166/12, § 80 და 121, 2016 წლის 23 აგვისტო, ეხება ალ-ქაიდადან ან სხვა კერძო ჯგუფებიდან მომდინარე რისკს).

68. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი განამტკიცებს აბსოლუტურ უფლებას. აკრძალვის აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება მისი შეპირისპირება სხვა ისეთ ინტერესებთან, როგორიცაა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ან ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის საზოგადოებრივი ინტერესი, რადგანაც ეს ძირს უთხრის განსახილველი უფლების აბსოლუტურ ხასიათს. არც ადამიანის სიცოცხლის დაცვა და არც სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების უზრუნველყოფა არ შეიძლება მიღწეულ იქნას მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური უფლების დაცვის საფრთხის ქვეშ დაყენების ფასად, რადგან ეს გამოიწვევს დასახელებულ ღირებულებათა მსხვერპლად გაღებას და მართლმსაჯულების განხორციელების დისკრედიტაციას (იხ. *გეფგენი* , ციტირებული ზემოთ, § 176).“

არ იყო საჭირო იმის დადგენა კ.გ-ს მიმართ განხორციელებული ქმედება კვალიფიცირდება თუ არა წამებად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით, იქიდან გამომდინარე, რომ ევროპული სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი მასალა, კერძოდ კი საქმის არსებითი განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება, ეჭვს არ ტოვებდა, რომ კ.გ-ს მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ მიაღწია სიმძიმის აუცილებელ ზღვარს, რომელიც ექცეოდა მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. შესაბამისად, კ.გ-სგან მიღებული ინფორმაცია მოპოვებული იყო კერძო პირების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შედეგად და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა კონვენციის მე-3 მუხლიდან, მოქმედებდა აღნიშნულ არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით.

(ბ) საჩივარი მე-6 მუხლის § 1-ის მიხედვით

„70. ... მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი განამტკიცებს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ის არ ადგენს რაიმე წესს მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, რაც უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობით

დასარეგულირებელი საკითხია (იხ. *შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1988 წლის 12 ივლისი, §§ 45 -46 , სერია A N140; *ტეიხერია დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ,* 1998 წლის 9 ივნისი, § 34, მოხსენებები 1998-IV; *ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, N5935/02, § 84, 2007 წლის 1-ლი მარტი; და *მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ,* N19867/12, § 83, 2017 წლის 11 ივლისი). …

73. ... თუმცა სასამართლო იმეორებს, რომ განსაკუთრებული მოსაზრებები გამოიყენება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით. კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი და აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგად მოპოვებული ასეთი მტკიცებულებების გამოყენება, ყოველთვის წამოწევს სერიოზულ საკითხებს სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშრებით, მაშინაც კი, თუ ასეთი მტკიცებულებების დაშვება არ იყო გადამწყვეტი მსჯავრის დადებისთვის (იხ. *İçöz თურქეთის წინააღმდეგ* (dec.), N 54919/00, 2003 წლის 9 იანვარი, *ჯალოჰი,* ზემოთ ნახსენები §§ 99 და 104; *Göçmen თურქეთის წინააღმდეგ,* N72000/01, §§ 73-74, 2006 წლის 17 ოქტომბერი; *ჰარუტიანი სომხეთის წინააღმდეგ,* N36549/03, § 63, ECHR 2007-III; და *გეფგენი,* ზემოთ ნახსენები § 165). ...

75. ამგვარად, სასამართლომ საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის საქმეებთან დაკავშირებით დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული ჩვენებების მტკიცებულებად დაშვება, რათა დადგინდეს შესაბამისი ფაქტები სისხლის სამართლის პროცესში, მთელ სამართალწარმოებას არასამართლიანს ხდის...(ი.ხ *გაფგენი,* ზემოთ ნახსენები, § 166 და მასში მოყვანილი საქმეები; *კაჩიუ და კოტორი ალბანეთის წინააღმდეგ*, N 33192/07 და 33194/07, § 117, 2013 წლის 25 ივნისი; *ცეზისნიკი ლატვიის წინააღმდეგ*, N 9278/06, §§ 65-66, 2014 წლის 11 თებერვალი; *იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], N 50541/08 და 3 სხვა, § 254, 2016 წლის 13 სექტემბერი; და *კორმევი ბულგარეთის წინააღმდეგ,* No. 39014/12, § 81, 2017 წლის 5 ოქტომბერი).

76. ეს ასევე ეხება წამების უშუალო შედეგად მოპოვებული რეალური მტკიცებულებების გამოყენებას (იხ. *გეფგენი,* ზემოთ ნახსენები § 173); თუკი არასათანადო მოპყრობა არ გაუთანაბრდა წამებას და წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაშვება დაარღვევს კონვენციის მე-6 მუხლს მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევამ გავლენა იქონია ბრალდებულის წინააღმდეგ სამართალწარმოების შედეგზე, ანუ პირის მსჯავრდებაზე ან სასჯელზე (იქვე § 178).

77. ეს პრინციპები გამოიყენება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის მსხვერპლი არის ბრალდებული, არამედ მაშინაც, როდესაც საქმე ეხება მესამე პირებს (იხ. *ჰარუტანიანი,* ზემოთ ნახსენები § 64; *ჰუსეინი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ*, N 35485/05 და 3 სხვა, § 202, 2011 წლის 26 ივლისი, *ოტმანი (აბუ კატადა),* ზემოთ ნახსენები, §§ 263 და 265; *ელ ჰასკი ბელგიის წინააღმდეგ,* N 649/08,

§ 87, 2012 წლის 25 სექტემბერი; და *ურაზბაევი რუსეთის წინააღმდეგ,* N 13128/06, § 61, 2019 წლის 8 ოქტომბერი).“

სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა განმცხადებლის არგუმენტი, რომელიც არსებითად წამოჭრილი იყო კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომ სადავო ჩანაწერი მოპოვებული იყო კერძო პირების მიერ არასათანადო მოპყრობის შედეგად და ამასთანავე, არ გაუთვალისწინებია ასეთი მტკიცებულების არასანდოობასთან დაკავშირებული საკითხი. სისხლის სამართლის პროცესში იმ მტკიცებულებების გამოყენებამ, რომელიც მოპოვებული იყო პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების შედეგად და არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს - მიუხედავად იმისა, იყო თუ არა აღნიშნული მოპყრობა შეფასებული, როგორც წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა - მთელი სამართალწარმოება უსამართლო გახადა, რის შედეგადაც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი. ეს მოხდა მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებითი ღირებულების და იმის მიუხედავად, იყო თუ არა ხსენებული მტკიცებულების გამოყენება გადამწყვეტი ბრალდებულის მსჯავრდებისთვის.

ზემოაღნიშნული პრინციპი იგივენაირად გამოიყენება მე-3 მუხლით გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის შედეგად მესამე პირისგან მოპოვებული მტკიცებულებების დაშვებაზე, როდესაც ასეთი არასათანადო ქმედება განხორციელებული იყო კერძო პირების მიერ, მიუხედავად მისი კლასიფიკაციისა (წამებად, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად).

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა კ.გ-სგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც მოპოვებული იყო კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის დარღვევით. ამით სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე, რომლითაც განმცხადებელი სარგებლობდა.

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. სასამართლომ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად ცნო და არანაირი არგუმენტაცია არ წარმოუდგენია ამ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

დასკვნა : დარღვევა (ხუთი ხმა ორის წინააღმდეგ).

მუხლი 41: 8000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. მოთხოვნა მატერიალური ზიანის თაობაზე უარყოფილია.